# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 140. კვირა, 3 აგვისტო 1903 წ. გაზეთის № 2226.

3 მანეთი ღირს ყოველ-დღიური გაზეთი ცნობის ფურცელი კვირაში ორის სურათებიანის დამატებით, 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე.



მქლიან გზიდან.—სურ,თი შვარცისა.

* * *

გამოიდარა. ღრუბელი
აღარ სჩანს არსად ცაზედა,
გამოჩნდა მანათობელი
მზე ცისა კამარაზედა.
მოჭვივნა შარავანდედი
უხვადა, საამურადა
და ანუგეშა მგლოვარე
ქვეყანა ტკბილად, ძმურადა.
მაგრამ, ეჰ, სულო, შენ კვლავ ჰგლოვ,
შენ ვერ განათებს მზე, მთვარე,
ვით ამირანსა მოგჯაჭვეს
ნაღველი... შხამი... სიმწარე.
ითმინე, თვალი ახლო ჰხედს,
მაგრამ გონება შორადა,
ვგრძნობ შენც გეწვევა ნათელი,
დიდებულ ცისა სწორადა.
მაშინ, ჰე, სატრფოვ, აღარც შენ
მექმნები უმადურადა,
ლამპრად მოგიძღვნი სიყვარულს
და სათნოებას რჯულადა!

დ. ნინოწმინდელი.




მოულოდნელი სანახავი.—სურათი შმიტისა.

# ლამაზის აღსარება

ვუძღვნი ივეიანებს

გიუ-დე-მოპასსანი.

— მეგობარო, მთხოვდით, მეამბნა თვალსაჩინო რამ ჩემის ცხოვრებიდან... კეთილი. მოხარული ვარ, რომ არავინა მყავს, არც შვილები, არც ნათესავები, ამიტომ შემიძლიან ყველაფერში გამოგიტყდეთ. პირობა მომეცით მხოლოდ, რომ არ გამამხელთ... თქვენ, რასაკვირველია, გეცოდინებათ, რომ ბევრჯელ ვიყავი შეყვარებული, ბევრი მიყვარდა და მეც ბევრს ვუყვარებივარ.

მეტად ლამაზი ვიყავ. შემიძლიან გითხრათ ამის შესახებ მხოლოდ ეხლა, როდესაც ჩემის სილამაზისა აღარაფერი შემრჩენია. სიყვარული ჩემის სულის სიცოცხლეს შეადგენდა, ისე როგორც ჰაერი ჩვენის ხორცის სიცოცხლეს შეადგენს. მე მერჩივნა სიკვდილი უსიყვარულოდ და უალერსოდ სიცოცხლეს. ქალები ხშირად ამტკიცებენ, რომ ძლიერი და ნამდვილი სიყვარული მხოლოდ ერთხელ შეიძლებაო. მე-კი გამომიცდია ძლიერი სიყვარული, მაგრამ ისიც ჰქრებოდა იმგვარადვე, როგორც ჰქრება ხოლმე ცეცხლი, რომელსაც შეშას არ შეუკეთებენ.

ვიამბობთ პირველ შემთხვევას: მე სრულიად უდანაშაულო ვიყავი, მაგრამ ეს შემთხვევა დანარჩენების დასაწყისად გადაიქცა.

პეკელ აფთექრის საშინელმა შურისძიებამ მომაგონა ის შესაზარი დრამა, რომლის მოწმედაც ნება-უნებურად გავხდი.

თითქმის ერთი წელიწადი სრულდებოდა, რაც მე გრაფ დე-კერ...-ს მეუღლედ გავხდი. გრაფი მდიდარი იყო, უძველეს გვარის შთამომავალი. გამოგიტყდებით, რომ სრულებით არ მიყვარდა. ჭეშმარიტ სიყვარულს, ისეთს, როგორიც მე მესმის, ეჭირვება ერთსა და იმავე დროს თავისუფლება და დაბრკოლებაც. ძალდატანებული სიყვარული, სიყვარული მღვდლის მიერ ნაკურთხ-ნალოცევი და კანონით დადგენილი განა ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარულია? კანონიერ კოცნას განა ის სიტკბოება ექმნება, რაც ნაქურდალ კოცნასა აქვს?

ჩემი ქმარი მაღალის მოყვანილობისა და მშვენიერის შესახედაობისა იყო, დიდკაცური მიხვრა-მოხვრა ჰქონდა, მაგრამ ყველა ამასთან არც დასახარბებელ ჭკუის პატრონი იყო. ლაპარაკი იცოდა გარკვეული. თავის აზრებს ისე გამოსთქვამდა ხოლმე, თითქოს დანითა სჭრიდაო. იმის გამგონს რაღაც უხილავი რამ ჩასჩურჩულებდა, რომ ეს აზრები დიდის ხნიდან იყო დამზადებული და იმის თავში ძალად ჩატენილი ქირისუფლების მიერ, რომელთაც თავის მხრივ მემკვიდრეობით მიეღოთ თავიანთ წინაპართაგან. არასოდეს არ ერიდებოდა უმნიშვნელო და ტუტუცურ აზრების გამოთქმას. აშკარა იყო, რომ იმისი თავი შებოჭილი იყო, რომ იქ არ ირეოდნენ იდეები, ის იდეები, რომელნიც აახლებენ და აჯანმრთელებენ გონებას.

ციხე-დარბაზი, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, განმარტოებით მდებარეობდა. მყუდრო შენობა შემორტყმული იყო უზარმაზარ, ხავს-მოკიდებულ ხეებით. ეს ხეები შორიდან კაცს თეთრწვერა მოხუცს აგონებდა. პარკი, ნამდვილი ტყე, შემოვლებული იყო ღრმა და გადაუვალ თხრილებით. იქ კი, სადაც ტრიალი მინდორი იწყებოდა, ორი მოზრდილი ტბა იყო, ბალახითა და ლერწამით დაფენილი. პატარა მდინარის ნაპირზედ, რომელიც აერთებდა ამ ორ გუბეს, ჩემმა ქმარმა გააკეთებინა ფაცხა, საიდანაც შეგვეძლო თავისუფლად გვენადირნა გარეულ იხვებზე.

ჩვეულებრივ მოსამსახურის გარდა გვყავდა ბაღის მცველიც, ერთგული კაცი, რომელსაც ჩემი ქმარი ძალიან ენდობოდა. გვყავდა კიდევ მოსამსახურე ქალი, თითქმის ჩემი ამხანაგი. იმას უსაზღვროდ ვუყვარდი. ეს ქალი ჩამოვიყვანე ხუთის წლის წინად ესპანიიდან. უპატრონო მიგდებული ქალი იყო. იმისი შავგვრემანი პირისახე, მგზნებარე თვალები და სქელი თმა, რომელიც ყოველთვის სახეზე ეფინებოდა ხოლმე, ბოშა ქალს გაგონებდათ. თექვსმეტის წლისა იყო, მაგრამ შეხედულებით ოცის წლისას ჰგავდა.

შემოდგომა დგებოდა. გაიმართა ნადირობა. ვნადირობდით ხან ჩვენ, ხან ჩვენი მეზობლები. შევნიშნე, რომ ერთი ყმაწვილი კაცი, ბარონი ს—ი, ძალიან ხშირად დაიარებოდა სანადიროდ ჩვენს მახლობლად ტყეში. შემდეგ ერთ ხანად ბარონ ს—მა შესწყვიტა სიარული ჩვენსას და მეც იგი თითქმის გადამავიწყდა. ამის შემდეგ ჩემ ქმარს რაღაც ცვლილება დაეტყო. სიჩუმე დასჩემდა. ჩვეულებრივად აღარ მეალერსებოდა. თუმცა იშვიათად შემოდიოდა ჩემს ოთახში (ჩემის სურვილით ცალკე ოთახი მქონდა, რომ უფრო თავისუფლად მეცხოვრა), მაგრამ ხშირად ღამ-ღამეობით მესმოდა, რომ ვიღაც ჩემის ოთახის კარებს უახლოვდებოდა და რამდენისამე წამის

94

შემდეგ უკანვე ბრუნდებოდა. ჩემის ოთახის ფანჯარა ბაღს გადაჰყურებდა. ხშირად მეჩვენებოდა, თითქო ვიღაც სახლის გარშემო სიბნელეში დაიარებაო. ეს ვუამბე ჩემ ქმარს. იმან ეჭვის თვალით შემომხედა და ცივად მიპასუხა, „ბაღის მცველიაო“.

ერთხელ, საღამოთი, როდესაც ჩვეულებისამებრ სადილს ვათავებდით, ერვე მეტად მხიარული იყო. ასეთი მხიარულება იმ ხანებში არა ჩვეულებრივი იყო. ძალ-დატანებულის მხიარულებით მკითხა:

— არ ინებებთ სამის საათით დარაჯობას, რომ მოვკლათ მელა, რომელიც ყოველ ღამე თითო ქათამს იტაცებს?

გამიკვირდა. უარს ვამბობდი, ის-კი დაკვირვებით მიყურებდა. „დიდის სიამოვნებით ჩემო მეგობარო - მეთქი,“ მივუგე ბოლოს. უნდა მოგახსენოთ, რომ სხვებზე უარესად არა ვნადირობდი მგლებსა და გარეულ ღორებზე. ამიტომ გასაკვირველი არ იყო, თუ ქმარმა მთხოვა გავყოლოდი მელის მოსაკლავად.

ჩემი ქმარი უცებ აშფოთდა. ეტყობოდა, რომ მთელ საღამოს აღელვებული იყო. რაღაც ავადმყოფურ მდგომარეობაში ჩავარდა. დაუღალავად ოთახის ერთის კუთხიდან მეორემდის დადიოდა.

ცხრა საათი იყო, როცა უცებ მკითხა: „მზადა ხართ?„ წამოვდექი. ჩემი თოფი ჩვეულებრივ ერვეს დაჰქონდა. ვკითხე, ტყვიით გავტენო თუ წვრილი საფანტით-მეთქი. იმან შემომხედა და რამდენისამე წამის შემდეგ საკვირველის კილოთი მომიგო: „შეგიძლიანთ თავი მოიწონოთ თქვენის არა ჩვეულებრივის გაბედულობით!“ გადვიხარხარე: „მეე? რატომ? განა დიდი გაბედულობაა საჭირო, რომ კაცმა მელა მოჰკლას?“

სახლში ყველას ეძინა, როცა პარკი გავიარეთ. მკრთალ მთვარეს მყუდრო შენობები ყვითლად შეეღება. ძველის შენობის სახურავიც ყვითლად ბრწყინავდა. არავითარი ხმაურობა არ არღვევდა სიჩუმეს ამ გარკვეულ და მძიმე ღამისას, რომელიც თითქოს ჩამკვდარიყო. არც ქარის სისინი, არც ბაყაყთა ყიყინი, არც ბუის შემაძრწუნებელი ხმა.

როდესაც ხეების ქვეშ გავიარეთ, ვიგრძენ დაცვივნულ ფოთლის სასიამოვნო სუნი. ჩემს ქმარს ერთი სიტყვაც არ უთქვამს ჩემთვის. ამ ხნის განმავლობაში სულ მიცქეროდა, სცდილობდა გაეგო ხმაურობა, უნდოდა ამ სიბნელეში რაღაც გაერჩია, თითქოს თავით-ფეხამდე ნადირობის ჟინით გამსჭვალულიაო.

მივაღწიეთ ტბების ნაპირებს. სქლად დაფენილი ლერწამი შეურყევლად იდგა. ოდნავი ნიავიც კი არ ემბორებოდა ამ ლერწამს. ძლივს შესამჩნევი მოძრაობა ეტყობოდა წყალს მხოლოდ შუაგულში. დრო გამოშვებით რომელიმე წერტილი გაინძრეოდა წყლის ზედა პირზე და იმისგან წარმომდგარი პაწაწინა ტალღები, რომელნიც თან და თან დიდდებოდნენ და მიეშურებოდნენ ნაპირისაკენ, მბზინავ ნაოჭებს მოგაგონებდათ.

როდესაც მივაღწიეთ ფაცხას, სადაც უნდა ჩავსაფრებულვიყავით, ქმარმა პირველად მე შემიშვა, შემდეგ ნელა დაიწყო თავის თოფის ტენა და ჩახმახის სინჯვა. ყველა ამან რაღაც გაუგებარი შთაბეჭდილება იქონია ჩემზე. ერვემ შეამჩნია ჩემი შეკრთომა და მითხრა: „შეიძლება თქვენთვის საკმაო იყოს ეს ცოტაოდენი გამოცდა... თუ ასეა, ნება გაქვთ წაბრძანდეთ!“ „სრულებითაც არა, იმიტომ კი არ მოვსულვარ, რომ დავბრუნდე! ეგ რა გემართებათ დღეს?“ ვუპასუხე გაკვირვებულმა. „როგორც გნებავდეთ!“ ჩაილუღლუღა ჩუმად და გაუნძრევლად ვისხედით ჩვენს ადგილებზე.

გავიდა ნახევარი საათი. რადგან ამ შემოდგომის და მის მძიმე სიჩუმეს არაფერი არღვევდა, ვკითხე: „დარწმუნებული ხართ, რომ ის მელია მაინც და მაინც აქ გამოივლის?“ „ჰჰ, რასაკვირველია, დარწმუნებული ვარო.“

ისევ მწარე დუმილი ჩამოვარდა.

მგონი თვლემა დამაწყებინა, როდესაც ქმარმა წამავლო ხელი და ხრინწიანის ხმით სთქვა: „ჰხედავთ იმას ხეებში?“ დავაკვირდი, მაგრამ ვერა გავარჩიე-რა. ერვემ ნელა ასწია თოფის ცივი ლულა და ჩაშტერებით ჩამაცქერდა თვალებში. მეთითონაც დავემზადე სასროლად, მაგრამ ოცდა-ათ ნაბიჯზე შევამჩნიე კაცი, მთვარის შუქზე აჩრდილივით გამოსული. ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა, მოკაკული, მოხრილი წელში, თითქო უნდა ვისმეს გაექცესო.

ისე გავვოცდი, რომ საშინელი კივილი ავტეხე. ვიდრე გონს მოვიდოდი ცეცხლმა იელვა, გაისმა საზარელი გრიალი და დავინახე მიწაზე გაშხლართული კაცი, რომელიც ტყვიით იყო დაჰრილი. შევკივლე უფრო საშინლად. მაშინ ერვემ ჰრისხანედ, შეუბრალებლად მტაცა კისერში ხელი და საშინელის ღონით წამაქცია მიწაზე. მერე ღონიერის მკლავებით ამიყვანა და გამაქანა გვამისაკენ, რომელიც უსულოდ ეგდო ბალახზე და იქაც სწრაფად და ღონივრად დამანარცხა იმ გვამზე.

ვიგრძენი, რომ ვიღუპებოდი, ვიგრძენი, რომ გამხეცებული კაცი იმ წამშივე მომკლავდა. ერვემ ასწია მაღლა ფეხი და ფეხსაცმელის ქუსლმა გამიელვა თვალ-წინ. მაგრამ ამ დროს ვიღამაც უცებ სტაცა ხელი ერვეს და ისე მარდათ დასცა მიწაზე, რომ ვერ გავიგე, რა ნაირად მოხდა ეს. ვისარგებ-



ჰენრიხ ჰეინე.—სურათი ლეფლერისა.

ლე შემთხვევით და წამოვდექი ფეხზე. ჩემი მხსნელი ვიცანი: მოახლე ქალი იყო, რომელსაც გარეულ კატასავით ჩაეჭიდა

J. 45/208

ხელები ერვესთვის. კბილების კრაჭუნით, თითქო შეშლილიაო, სწვდა იმის წვერ-ულვაშს, ჰგლეჯდა და ჰფხაჭნიდა იმის პირისახეს. ერვეს სისხლი თქრიალით წასქდა, შეეღება ტანისამოსიც-კი.

უეცრად, გატაცებული სულ სხვა ფიქრებით, ქალი წამოდგა, მერე ეცა უკვე გაცივებულ გვამს, მოჰხვია ხელები, მიიკრა გულზე და დაუწყო გაშმაგებით კოცნა ბედკრულ საყვარელს. საბრალომ მიცვალებულის ტუჩები მოღალა კოცნით, იქ ეძებდა ალერსს შეყვარებულისას. ერვე, ჩემი ქმარი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში უკვე ამდგარიყო, ჩუმად შეჰყურებდა ამ შესაზარ სცენას. ყველაფერს მიჰხვდა, დაეცა ჩემ ფეხთწინ და შემეხვეწა: „ოჰ, ჩემო ძვირფასო, მომიტევე! ეჭვი მქონდა შენზე და მოვკალ უდანაშაულო კაცი, საყვარელი ამ უბედურისა! მომატყუა ბაღის მცველმა...“

მე ისევ ისე შევყურებდი ცოცხლის მიერ მკვდრის ამ გასაოცარ კოცნას, ქალის შემაძრწუნებელ ტირილს და იმის გაშმაგებულ სიყვარულს.

ამ წამიდან დარწმუნებული ვიყავ, რომ არასოდეს არ ვიქნები ჩემის ქმრის ერთგული.

დ. გვაზავა.



ჩვენი აგარაკები. წვიმიან დღეებში სოკოს საკრებად შორს წასვლა აღარ სჭირდებათ.



გასაგრილებელი მანქანა ტფილისელებისათვის.

ახლანდელი პატარები



დედა. ვანო, როგორ არა გრცხვენიან, კიდევ ცუდი ნიშანი მიგიღია სკოლაში, ხომ გაგიჯავრდება დედა!..

ემაწვილი. არა, არ გამიჯავრდება მე და მამამ მოვილაპარაკეთ;: მამა ახალ შლიაპას უყიდის დედას და აღარ გამიჯავრდება.

სერბიაში



ჩემისთანა მოსიყვარულენი რომ გვყავნდეს გვარდიაში, ღალატს არ უნდა ელოდდე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 2 Августа 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა